



**CENTOGENE მოთხოვს პაციენტის ხელმოწერილ თანხმობის ფორმას იმისთვის, რომ ჰქონდეს გენეტიკური ანალიზის ჩატარების თურითული უფლება. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ ნიმუშებზე დართული იყოს მოცემული ხელმოწერილი თანხმობის ფორმა.**

მიმართავთ პაციენტს,

თქვენი ექიმის მიერ თქვენთვის (ან იმ პირისთვის, რომლის ოურიდიული წარმომადგენელიც ხართ) რეკომენდებულია გენეტიკური ანალიზის ჩატარება ქვემოთ მოცემულ ნაწილში. თანხმობის განცხადება მითითებული დიაგნოზის/სიმპტომების განმარტებისათვის. იმისთვის, რომ თქვენთვის გასაგები იყოს მოცემული გენეტიკური ანალიზის მიზანი და მნიშვნელობა, ქვემოთ მოგაწოდეთ ინფორმაცია ტესტირების პროცესისა და პოტენციური შედეგების შესახებ.

**გენეტიკური ანალიზის მიზანია თქვენი ან თქვენი ოჯახის საეკვო დაავადების მიზნის იდენტიფიკაცია თქვენი გენეტიკური მასალის (დნმ) ანალიზის საშუალებით ანომალიური ცვლილების (ვარიანტის) დასადგენად, რომლითაც შეიძლება აიხსნას ის დაავადება, რომელიც გაქვთ თქვენ ან თქვენს ოჯახის წევრებს.**

**გენეტიკურ ანალიზში, ინდივიდუალური შემთხვევის მიხედვით, შეიძლება შეგამოწონ შემდეგზე:**

- ერთი გენი/ვარიანტი, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ, საეკვო გენეტიკურ დაავადებაზე, ან
- რამდენიმე გენი (გენის პანელი, მთელი ეგზომის ან გენომის სეკვენირება) პარალელურად.

**საკვლევი მასალა**, რომელიც საჭიროა გენეტიკური ანალიზის შესასრულებლად, მითითებულია ტესტირების შეკვეთის ფორმაში და ჩვეულებრივ, არის სისხლის ან გაწმენდილი დნმ, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს ქსოვილი, ნერწყვი ან ბუკალური ნაცხი.

**გენეტიკური ანალიზის შესაძლო შედეგებია:**

- გენეტიკურ ანალიზს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე შედეგიდან ერთ-ერთი:
  - იდენტიფიცირებულია დაავადების გამომწვევი დნმ-ის ვარიანტი, რომელიც ადასტურებს დიაგნოზს და საშუალებას აძლევს თქვენს ექიმს (სეთის არსებობის შემთხვევაში), განახორციელოს სათანადო სამედიცინო მკურნალობა.
  - დნმ-ის ვარიანტი გამოვლენილია, მაგრამ ამ დროისათვის არ არსებობს საკმარისი სამედიცინო და სამედიცინო ინფორმაცია იმის დასადგენად, არის თუ არა ეს დაავადების გამომწვევი ვარიანტი. თქვენი ექიმი ამ შედეგს თქვენთან ერთად განხილავს და განმარტავს თქვენთვის ხელმისაწვდომ დამატებით ვარიანტებს.
  - გენეტიკურ ანალიზს არ მოუხვევია რაიმე სპეციფიკური შედეგი, რომლითაც შესაძლებელია სიმპტომების ახსნა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სამედიცინო ან სამედიცინო სფეროში ცოდნის და ტექნოლოგიის დარგში არსებული შეზღუდვებით.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ გენეტიკური ანალიზები - იმ შემთხვევაშიც, თუ სპეციფიკური ანალიზის შედეგი უარყოფითია - არ არის ამომწურავი და შესაბამისად, შეუძლებელია ყველა შესაძლო გენეტიკური დაავადების რისკების უგულებელყოფა თქვენს და თქვენი ოჯახის წევრების (განსაკუთრებით ბავშვების) შემთხვევაში.

ტესტირების შედეგების ცოდნა შეიძლება გამოიწვიოს თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური სტრესი. ყოველთვის რეკომენდებულია თქვენი შედეგების პასუხისმგებელ ექიმთან ერთად განხილვა.

**შემთხვევითი შედეგები (Incidental findings – IF):**

გენეტიკური ანალიზების, კერძოდ, იმ ანალიზების შედეგად, რომლებიც მოიცავენ დიდი რაოდენობით გენებს, როგორცაა მთლიანი ეგზომის ან გენომის სეკვენირება, შეიძლება გამოვლინდეს ისეთი შედეგები, რომლებიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული თქვენი ტესტირების ფაქტობრივ მიზნთან (შემთხვევითი შედეგები). მიუხედავად ამისა, ასეთ შედეგებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ სამედიცინო მნიშვნელობა თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისთვის, რადგანაც მათ შეიძლება მოგაწოდონ ინფორმაცია პოტენციურად სერიოზული, გარდაუვალი ან განუკურნებელი გენეტიკური დაავადებების რისკის შესახებ (რომელიც შეიძლება თქვენთვის არ იყოს ცნობილი). ქვემოთ მოყვანილი თქვენი თანხმობის განცხადების არასავალდებულო ნაწილებში შეგიძლიათ გადარწმუნდეთ, გასურთ თუ არა და რა პირობებში გასურთ იყოს ინფორმირებული ამგვარი შემთხვევითი შედეგების შესახებ.

**ოჯახის წევრების შემთხვევაში მიღებული შედეგები:**

თუ შედეგად ოჯახის რამდენიმე წევრის ტესტირება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ოჯახის წევრებთან ნათესაური კავშირის სწორ მითითებაზე. თუ გენეტიკური ანალიზით დადგინდება, რომ არსებობს შესაბამისი მითითებულ ნათესაურ კავშირში, CENTOGENE არ გაცნობთ ამის შესახებ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია აბსოლუტურად საჭიროა მთხოვნილი ანალიზის დასრულებისა და სწორი ინტერპრეტაციისთვის.

**ჯანმრთელობის მონაცემების, სინჯების და ტესტირების შედეგების გამოყენება:** სინჯები და მოწოდებული მონაცემები, მათ შორის, ჯანმრთელობის მონაცემები, გამოყენებული იქნება მოთხოვნილი ანალიზისთვის, და ტესტირების შედეგებთან ერთად შენახული და დამუშავებული იქნება ქვემოთ მითითებული თანხმობის განცხადების შესაბამისად.

**თანხმობის გაუქმების უფლება:** თანხმობის დროს შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი თანხმობა ანალიზის ჩატარებაზე, სრულად ან ნაწილობრივ, მიზეზის მითითების გარეშე.

**არცოდნის უფლება:** თქვენ გაქვთ უფლება არ იყოთ ინფორმირებული ტესტირების შედეგების შესახებ (არცოდნის უფლება) და ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ უკვე დაწყებული ტესტირების პროცესი, არ მიიღოთ შედეგები და მოითხოვოთ ანალიზის ყველა შედეგის განადგურება.

**ფსევდონიმიზაცია და ანონიმიზაცია:**

ფსევდონიმიზაცია გულისხმობს თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებას ისე, რომ პირადი მონაცემები არ იყოს დაკავშირებული თქვენთან გარკვეული იდენტიფიკატორის გარეშე, რომელიც ცალკე შენახული და დაცული იქნება CENTOGENE-ს მიერ. „ანონიმიზაციაში“ იგულისხმება თქვენი მონაცემების ანონიმურად წარმოჩენის პროცესი, რაც აღარ იძლევა ანონიმური მონაცემების საფუძველზე თქვენი იდენტიფიცირების საშუალებას.

**მონაცემთა დაცვის ინფორმაცია პაციენტებისა და ექიმისთვის:**

ქვემოთ გვსურს გაცნობოთ პირად მონაცემთა დამუშავების შესახებ გენეტიკური ანალიზის ჩატარების დროს და მას შემდეგ. „პირადი მონაცემებში“ იგულისხმება მთელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან. ყველა შეგროვებულ და დამუშავებულ პირად მონაცემებზე ვრცელდება შემდეგი:

- მაკონტროლებელი და პასუხისმგებელი უწყება, რომელიც დაამუშავებს თქვენს მონაცემებს, არის Centogene GmbH, Am Strande 7, 18055 Rostock, რომელიც წარმოდგენილია აღმასრულებელი საბჭოს წევრებით, როგორც მითითებულია ჩვენს ვებ-გვერდზე (<https://www.centogene.com/company/executive-board.html>). შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს იგივე მისამართზე, შედეგის დამატებით „Att: Data Protection Officer“ („მონაცემთა დაცვის ოფიცერის საყურადღებო“) ან ელფოსტით [dataprivacy@centogene.com](mailto:dataprivacy@centogene.com).
- პაციენტი: მოცემული თანხმობის ფორმის საფუძველზე და თქვენი ექიმის დახმარებით, თქვენს შესახებ ვაგროვებთ შემდეგ მონაცემებს (თითოეული ინდივიდუალური შემთხვევაში, როგორც მითითებულია): პირადი მონაცემები (მათ შორის, სახელი, გვარი და მისამართი), ნათესაური კავშირები, ასაკი/დაბადების წელი, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, სადაზღვევო ინფორმაცია, სიმპტომები და სხვა სამედიცინო ინფორმაცია, დაავადება, საკვლევი მასალა /სინჯი მაიდენტიფიცირებელი გენეტიკური მონაცემებით, გენეტიკური ანალიზის შედეგები. თქვენგან შეგროვებული ყველა მონაცემი შენახული იქნება იმდენი ხნით, რამდენიც მითითებულია თანხმობის განცხადებაში, მონაცემები დამუშავდება - ასევე ნაწილობრივ მონაცემთა ცენტრებში, რომლებსაც უზრუნველყოფენ სერვისის პროვაიდერები ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ და ჩვენი მითითებების შესაბამისად - მოთხოვნილი გენეტიკური ანალიზის შესასრულებლად და თქვენი ექიმისთვის მოცემული ანალიზის შედეგების შესატყობინებლად, რაც თითოეულ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება მოწოდებულ თანხმობაზე. თუ გაქვთ გაცემული შესაბამისი თანხმობა, ეს მონაცემები შენახული და დამუშავებული იქნება შემდგომი მიზნებისათვის, როგორც მითითებულია თანხმობის განცხადებაში.
- ექიმი: თქვენგან შეგროვებული მთელი ინფორმაცია დამუშავდება თქვენთვის ტესტირების და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის მოსაწოდებლად და ასევე ინფორმაციის გაყვანის მიზნით, სანამ შევინახავთ ჩვენი პაციენტების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. ეს მოხდება ოურიდიული დებულებების საფუძველზე, რაც საშუალებას მოგვცემს დავამუშავოთ პირადი მონაცემები კონტრაქტის შესრულების მიზნით და მოხმარებულთან ურთიერთობების მართვის მიზნით, რადგან შესაბამისი კანონიერი ინტერესი გავაჩნია. ჩვენ ვიყენებთ მონაცემთა დამუშავებელ პირებს, რომლებიც ყურადღებით შერჩეულია, იცავენ ჩვენს მითითებებს და გადაიარაგულარულ მონიტორინგს. მონაცემთა დამუშავებელი პირებისადმი მონაცემების გამცემების შეიძლება შედეგად მოყვას მონაცემების დამუშავება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნებში (მესამე ქვეყნებში). მესამე ქვეყანაში მონაცემთა გადაცემისას, უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ადეკვატური დონე ან გარანტიები გონივრულ ფარგლებში; მაგ. მონაცემთა დამუშავების ხელშეკრულების დადებით, რომელიც შეიცავს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის სტანდარტულ დებულებებს (რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [https://ec.europa.eu/info/law/law-topic/data-protection\\_en](https://ec.europa.eu/info/law/law-topic/data-protection_en)).
- თქვენ (პაციენტს და ექიმს) გაგაჩნიათ შემდეგი უფლებები თქვენს პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გამოიყენოთ, მაგ, თუ გააგზავნით ელ. წერილს მისამართზე: [dataprivacy@centogene.com](mailto:dataprivacy@centogene.com):
  - თქვენს შესახებ ინფორმაციის მიღების და თქვენს შესახებ შენახულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება;
  - თქვენი პირადი შენახული ინფორმაციის შესწორების ან წაშლის უფლება;
  - თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებაზე შეზღუდვის მიღების უფლება;
  - **თქვენს კონკრეტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით უარის თქმის უფლება;**
  - მონაცემთა გადატანის უფლება (ე.ი. ჩვენი ინფორმაციის ინფორმაციის მიღება სტრუქტურირებულ, ფართოდ გამოყენებულ და მქანის მიერ წაკითხვად ფორმატში); და
  - ნებისმიერ დროს თქვენი თანხმობის გაუქმების უფლება სამომავლო ეფექტით.

- თქვენ უფლება გაქვთ შეიტანოთ საჩივარი საზედამხედველო უწყებაში თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.
- შეგიძლიათ გქონდეთ დამატებითი ან შეცვლილი უფლებები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რაც უცვლილი დარჩება.
- უფრო დეტალური და რეგულარულად განახლებადი ინფორმაციისათვის იმის თაობაზე, თუ როგორ ვამუშავებთ პირად მონაცემებს, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს განცხადებას მონაცემთა დაცვის შესახებ ვებ-გვერდზე: [www.centogene.com/data-protection](http://www.centogene.com/data-protection).



**დაავადების გენეტიკური ანალიზი:**

(ექიმის მიერ შესავსები ველი)

მოცემულ თანხმობის განცხადებაზე ხელმოწერით, ვადასტურებ, რომ მივიღე, წავიკითხე და ჩემთვის გასაგებია გენეტიკური ანალიზების წინამდებარე წერილობითი განმარტება.

ასევე მივიღე სათანადო განმარტებები (ჩემი ექიმისგან) დაგეგმილი გენეტიკური ანალიზის და მისაღები შედეგების გენეტიკური საფუძვლის, მიზნის, სპექტრის, ტიპის და მნიშვნელობის, შესაძლო დაავადების პრევენციის/მკურნალობის შესაძლებლობების და ასევე გენეტიკური ანალიზისთვის საჭირო სინჯების შეგროვებასთან დაკავშირებული რისკების და გენეტიკური ანალიზის შედეგების ცოდნის შესახებ. ყველა ჩემს შეკითხვას პასუხი გაეცა და მაქვს საჭირო დრო გენეტიკურ ანალიზთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

ქვემოთ მითითებული ხელმოწერით, ჩემი ან ჩემი პაციენტის სახელით, რომლის იურიდიული წარმომადგენელიც ვარ, ვაცხადებ თანხმობას:

**(1) გენეტიკურ ანალიზზე, რომელსაც ატარებს Centogene GmbH, Am Strande 7, 18055 Rostock, Germany [გერმანია], (CENTOGENE) ზემოაღნიშნულ დაავადებასთან დაკავშირებით, (2) ჩემი ექიმი და CENTOGENE-ს მიერ ჩემი „პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემების“ შეგროვებასა და დამუშავებაზე (რაც თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში აღნიშნავს შემდეგ, როგორც მითითებულია: პირადი მონაცემები (მათ შორის, სახელი, გვარი და მისამართი), ნათესაური კავშირები, ასაკი/დაბადების წელი, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, სადაზღვევო ინფორმაცია, სიმპტომები და სხვა სამედიცინო ინფორმაცია, დაავადება, საკვლევი მასალა /სინჯი მაიდენტიფიცირებელი გენეტიკური მონაცემებით, გენეტიკური ანალიზის შედეგები და დაკვანები), რაც საჭიროა გენეტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მათ შორის, ჩემი პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემების გადაცემაზე ექიმსა და CENTOGENE-ს მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, (3) მიღებული ნიმუშის ანალიზსა და მის შენახვაზე 10 წლის ვადით CENTOGENE-ს მიერ ჩემი პაციენტის დოკუმენტებთან ერთად, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ანალიზის შედეგების საჭიროების შემთხვევაში გადამოწმება, (4) ჩემი პირადი მონაცემების ან ჩემი ოჯახის წევრთა მონაცემების დამატება და გამოყენება ზემოხსენებული მიზნებით - საჭიროების შემთხვევაში - ჩემი ან ჩემი ოჯახის წევრთა პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემებით, თუ მათ ამაზე თანხმობა განაცხადეს, (5) ჩემი ექიმისადმი ან - თუ CENTOGENE-ს ამის მითითებას მისცემს ექიმის სახელით მოქმედი ლაბორატორია - მოცემულ ლაბორატორიისადმი გენეტიკური ანალიზის შედეგების შეტყობინებაზე; და (6) თხოვნის შემთხვევაში, ჩემთვის, ჩემი ექიმისთვის ან - თუ საჭირო იქნება - მომთხოვნი ლაბორატორიისადმი გენეტიკური ანალიზის დაუზუსტებელი მონაცემების მიწოდებაზე.**

ქვემოთ შესაბამისი პასუხის „დიახ“ მონიშვნით, დამატებით თანხმობას ვაცხადებ ან თანხმობას ვაცხადებ იმ პაციენტის სახელით, რომლის იურიდიული წარმომადგენელიც ვარ:

**შემთხვევითი შედეგების შეტყობინებაზე**

მთელი ევროპის სეკვენირების (WES) და მთელი გენომის სეკვენირების (WGS) ტესტების ერთდროულად რამდენიმე გენის ანალიზი. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ გენეტიკურ ანალიზში ნაპოვნი გენეტიკური ვარიანტი არ იყოს დაკავშირებული ტესტირების შედეგის მიზეზთან. მოცემულ შედეგებში, რომლებიც ასევე ცნობილია შემთხვევითი შედეგების სახელით, შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული თქვენს მოხსენებულ კლინიკურ სიმპტომებთან, მაგრამ შეიძლება ჰქონდეთ სამედიცინო ღირებულება მომავალში თქვენს სამკურნალოდ. ჩემთვის გასაგებია მოცემული შემთხვევითი შედეგების მნიშვნელობა და თანხმობას ვაცხადებ CENTOGENE-ს მიერ გარკვეული გენების მითითებული კლასების ან ტიპების დნმ ვარიანტების მოხსენებაზე "ACMG Recommendations for Reporting of Incidental Findings" (შემთხვევითი შედეგების შესახებ მოხსენების ACMG რეკომენდაციების) შესაბამისად. ჩემთვის გასაგებია, რომ CENTOGENE-ს, საკუთარი გადაწყვეტილებით, შეუძლია უარი თქვას რეკომენდებული შემთხვევითი შედეგების მოხსენებაზე და ასევე დამატებით მოახსენოს (სხვა) არა-ACMG-ს მიერ რეკომენდებული შემთხვევითი შედეგები, რაც თითოეული შემთხვევაში გამორჩეული იქნება დამატებითი სამედიცინო და სამედიცინო ინფორმაციით, რომელიც მოიპოვება CENTOGENE-ს მონაცემთა ბაზებში.

დიახ

**პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემთა და სინჯის დამატებითი შენახვა და გამოყენება**

ჩემთვის გასაგებია, რომ ჩემმა პირადმა (ჯანმრთელობის) მონაცემებმა და (დარჩენილმა) სინჯმა შეიძლება ხელი შეუწყოს დიაგნოსტიკური მეთოდების და შესაძლო თერაპიული გადაწყვეტილების შემდგომ კვლევას, განვითარებას და გაუმჯობესებას. ამ ზომებმა შეიძლება მომავალში ასევე ხელი შეუწყოს სამედიცინო რჩევებს და დანაშაულებებს ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის, მაგ. პოტენციური გენეტიკური დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობასთან დაკავშირებით.

- თანხმობას ვაცხადებ მასზე, რომ CENTOGENE-მა შეინახოს (1) ჩემს მიერ მოწოდებული პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემები და ინფორმაცია (დაავადებულ) ოჯახის წევრების შესახებ - თუ ისინი თანხმობას განაცხადებენ - და გენეტიკური ანალიზის შედეგები და (2) ჩემი სინჯი (მათ შორის, თავდაპირველი და დამუშავებული სინჯი) 20 წლის მანძილზე, და გამოიყენოს ეს მონაცემები და დარჩენილი სინჯები შიდა კვლევის, ანალიზის პროცედურების გაუმჯობესების, განვითარების და ვალიდაციის, დაკავშირებული პროდუქტის და მომსახურების განვითარების მიზნებით.
- თანხმობას ვაცხადებ მასზე, რომ 20 წლის შემდეგ ჩემი პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემები და (დარჩენილი) სინჯი იყოს ანონიმიზირებული და სინჯის ფლობის უფლება შემდგომ გადაეცეს CENTOGENE-ს. ორივე მათგანი დარჩება CENTOGENE-ს არქივებში CENTOGENE-ს მიერ გამოსყენებლად შეზღუდვების გარეშე.
- თანხმობას ვაცხადებ მასზე, რომ CENTOGENE-ს ჰქონდეს უფლება ნებისმიერ დროს დაამუშავოს ჩემი ანონიმიზირებული ან ფსევდონიმიზირებული პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემები, მაგ. საკუთარ მონაცემთა ბაზაში და შესაბამისი გენეტიკური დაავადებების მონაცემთა ბაზრებში, სამედიცინო და კომერციული კვლევის მიზნებით და ხელი შეუწყოს სხვა პაციენტების გენეტიკური ცვლილებების და დაავადებების დიაგნოსტიკის ასეთ ფსევდონიმიზირებულ ან ანონიმიზირებულ მონაცემებზე წვდომის უფლება შეიძლება მიენიჭოს კომპანიის ფარგლებს გარეთ ექიმებს, მეცნიერებს და (ფარმაცევტულ) კომპანიებს კვლევის და განვითარების მიზნით.
- ჩემთვის გასაგებია, რომ მე არ მივიღებ კომპენსაციას ჩემი პირადი (ჯანმრთელობის) მონაცემების ან სინჯების CENTOGENE-ს მიერ გამოყენებისათვის.
- ჩემთვის გასაგებია, რომ CENTOGENE-ს მონაცემთა ბაზებში არსებული მონაცემები - ანონიმიზირების შემდეგ - არ შეიძლება განადგურდეს ჩემი თხოვნით, რადგან ისინი არაიდენტიფიცირებადი და მათი მოძიება შეუძლებელია.

დიახ

ჩემთვის გასაგებია, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია გავაუქმო ჩემი თანხმობა სამომავლო ეფექტით სრულად ან ნაწილობრივ და რომ უფლება მაქვს, არ ვიცოდე გენეტიკური ანალიზების შედეგები, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე წერილობითი განმარტებაში.

თუ ხელმოწერა არის პაციენტის იურიდიული წარმომადგენელი, ის ადასტურებს, რომ ზემოხსენებულ თანხმობის განცხადებას იძლევა არა საკუთარი სახელით, არამედ იმ პაციენტის სახელით, რომელსაც წარმოადგენს.

თარიღი	პაციენტის სახელი და გვარი	პაციენტის/იურიდიული წარმომადგენლის ხელმოწერა
--------	---------------------------	--

ვადასტურებ, რომ ზემოხსენებული თანხმობა განცხადებულია პაციენტის ან (კონკრეტულ შემთხვევაში) მისი მშობლის ან იურიდიული წარმომადგენლის მიერ და თუ მისი ხელმოწერა ზემოთ არ არის მითითებული, ის ინახება ჩემს დოკუმენტებში. ვადასტურებ, რომ პაციენტს შეუძლია თანხმობის განცხადება (ან რომ თანხმობას მოცემულია პაციენტის იურიდიული წარმომადგენლის მიერ), რომ პაციენტს ყველა შეკითხვას პასუხი გაეცა, რომ პაციენტს ჰქონდა საკმარისი დრო მის გადაწყვეტილებაზე დასაფიქრებლად და რომ აქმდე პაციენტს არ გამოუყენებია თავისი გენეტიკური ანალიზების არცოდნის უფლება. ჩემთვის გასაგებია, რომ პაციენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი გენეტიკური ანალიზის შედეგების განადგურება და რომ მე ასეთ თხოვნებს დროულად გადავცემ CENTOGENE-ს. თანხმობას ვაცხადებ ჩემი პირადი მონაცემების CENTOGENE-ს მონაცემთა ბაზებში შენახვაზე საორგანიზაციო და ინვოლანტის მიზნებით.

თარიღი	ექიმის სახელი და გვარი	ექიმის ხელმოწერა
--------	------------------------	------------------